საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/48 "10" ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის
მოძრავი ქონების განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 7 ივნისის №06-5096 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა და მოითხოვა თანხმობის გაცემა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2021 წლის 7 ივნისის №35 ბრძანების საფუძველზე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსიდან და ბალანსგარეშე ანგარიშებიდან ჩამოწერილი ამორტიზებული და გამოუყენებელი მოძრავი ნივთების განკარგვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განკარგოს თანდართული მოძრავი ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი